სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება № 01-05-04|35

ქ. თბილისი 9 მარტი 2018

2017-2018 სასწავლო წლის მეორე სემესტრში სტუდენტებისათვის საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, სწავლების დეპარტამენტის უფროსის, პროფ. ი. ლომიძის მოხსენებითი ბარათის და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 9 მარტის №3 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. დაკმაყოფილდეს საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამა „ეკონომიკის“ სწავლების პირველი წლის დოქტორანტის, ანი ხაჩიძის თხოვნა მისი ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „ფინანსებზე“ გადასვლის შესახებ 2017-2018 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან;
2. დაკმაყოფილდეს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამა „სოციალური მეცნიერებების“ სწავლების მეორე წლის დოქტორანტის, კახა კახიშვილის თხოვნა მისი ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „საჯარო მმართველობაზე“ გადასვლის შესახებ 2017-2018 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან;

3. დაკმაყოფილდეს ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირების“ სწავლების პირველი წლის დოქტორანტის, გიორგი გარსევანიშვილის თხოვნა მისი იმავე ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „საჯარო მმართველობაზე“ გადასვლის შესახებ 2017-2018 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან;
4. დაკმაყოფილდეს ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამა „ინფორმატიკის“ სწავლების მეორე წლის დოქტორანტის, ირინე ქოშულაშვილის თხოვნა მისი იმავე ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „საინჟინრო ფიზიკაზე“ გადასვლის შესახებ 2017-2018 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან;
5. დაკმაყოფილდეს აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამა „აგრობიზნესის მენეჯმენტის“ სწავლების პირველი წლის სტუდენტის, ოთარ ბასილიძის თხოვნა მისი იმავე ფაკულტეტის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „აგროინჟინერიაზე“ გადასვლის შესახებ 2017-2018 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან;
6. დაკმაყოფილდეს სამშენებლო ფაკულტეტის სწავლების მეორე წლის სტუდენტის, დავით თოხაძის თხოვნა მისი ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმატიკაზე“ გადასვლის შესახებ 2017-2018 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან;
7. დაკმაყოფილდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტების დეკანების შუამდგომლობები ავტორიზაციის მოთხოვნებიდან გამომდინარე 2017-2018 სასწავლო წლის მეორე სემესტრისათვის სტუდენტებისთვის საგანმანათლებლო პროგრამების შეცვლის შესახებ (იხ. დანართი);
8. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**